ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2/2

ქ. თბილისი **8 იანვარი, 2018 წ.**

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური"** ფინანსური დეპარტამენტის უფროსის გიორგი გომარელის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ 204525585, სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ანგარიში N GE24NB0330100200165022.

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორეს მხრივ **ფიზიკური პირი „გიორგი აბდალაძე"-ს** (შემდგომში მიმწოდებელი) სახით, იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ავტონოვსკაიას N9ბ, ბ.64; ტელ: 577 40 77 02; ს/კ 60001052817, სს „თიბისი ბანკი", კოდი TBCBGE22, ა/ა № GE21TB1100000312718021

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1.ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით ფოტოგადაღების მომსახურების **(CPV79961000 - ფოტომომსახურებები)** სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და სსიპ შემოსავლების სამსახურის აპარატის უფროსის 2017 წლის 28 დეკემბრის (რეგისტ.№161907-21-01); მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე საქართველოს მასშტაბით, შემოსავლების სამსახურის ობიექტების, კერძოდ; საბაჟო გამშვები პუნქტების, გაფორმების ეკონომიკური ზონებისა და მოქალაქეთა მომსახურების სერვისცენტრების საიმიჯო ფოტოების გადაღების მომსახურება.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **4 000.00 (ოთხი ათასი ლარი და 00 თეთრი)** ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა და გადასახადების ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შემსყიდველისათვის მომსახურების გაწევა ხელშეკრულების გაფორმებიდან **15 (თხუთმეტი)** სამუშაო დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

4.2. იმ შემთხვევაში თუ, გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს გაწეული მომსახურების მიღებას, ხოლო თუ, მომსახურების მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ გაწეული მომსახურება არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს მომსახურება და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

4.3. მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;

4.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, სსიპ „შემოსავლების სამსახური".

4.6 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვლისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

5.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

5.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების გაწევის და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენიდან ((იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“) 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

7.3 ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

8.2.2.. განაცხადოს უარი უხარისხოდ გაწეულ მომსახურებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების

შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის მომსახურების გაწევა, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო ერთჯერადად, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით;.

13.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2018 წლის 30 მარტამდე, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან''; ორი ეგზემპლარი ,,შემსყიდველთან''.

„შემსყიდველი“
სსიპ „შემოსავლების სამსახური”

გიორგი გომარელი
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

„მიმწოდებელი“
ფ.პ „გიორგი აბდალაძე“

გიორგი აბდალაძე
ფიზიკური პირი